პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 123 (18365) ოთხშაბათი, 26 მაისი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საამოქმედო პროგრამა

საქართველოს შრომელები ეცნობიან და ერთსულოვნად იწონებენ სკკ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას „სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სახალხო მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებანი“.

ეტაპი ინიციატივა!

ამჟამინდელ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებები ჩვენი კოლმეურნეობის შრომელებისთვის მთელი ერთი აირის საგულისხმო და ფასმაძღვანელო, რომ აგერ ორი წელიწადზე მეტია ჩვენთან ინიციატიული შუამბინძანებელ ეროვნული პროგრამის სასურსათო პროგრამის შემუშავებისა და რეალიზაციისადმი. ეს ერ კიდევ შარშან წლის ოქტომბერში ადგილობრივი საბჭოლეტების მეეტიერთა რჩევის ფეხზე ადგილობრივი საბჭოლეტების და დახმარების შემოქმედების კანონელთა საბჭოს ეროვნული პროგრამა, რომელიც ეროვნულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ეროვნულ გათვალისწინებულია ყოველწლიურად რა სახეობის და ეროვნული სოფლის მეურნეობის ინიციატივა უნდა ჩაიბარონ საბჭოეფოს კოლმეურნეობის ყოველმა ბრიგადამ, თითოეულმა ოჯახმა.

მაისის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საგანგებოდ ამაბეკარი ყურადღება ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საკითხის წარმატებით ხორციშესხმის შემაბამ კოლმეურნეობებისა და ეკონომიკურ მეურნეობების პირველად პარტიულ ორგანიზაციებს ეროვნული და თანამშრომლობაზე. რას ეფუძნებს ამ მხრივ ჩვენი კოლმეურნეობის 141-კაციანი პირველადი პარტიული ორგანიზაცია, მისი პარტიული კომიტეტი?

პარტიულ კომიტეტთან შექმნილი სპეციალური კომისია, ეროვნულ სისტემატურად აკონტროლებს პროგრამის რეალიზაციისთვის ადგილებზე მიმდინარე საქმიანობას. მაგალითად, კომისიის მიერ ეროვნული გამოკვლევა, რომ მე-7 და მე-8 ბრიგადებში სათანადო ეფექტიანობით არ ეკიდებიან ამ მნიშვნელოვან საქმეს. ეროვნული პარტიული კომიტეტის ეროვნულის საგანი ჯანდა. მიეცა სათანადო ზომები, მდგომარეობა გამოსწორდა. გარდა ამისა, პარტკომის სხდომებზე პერიოდულად ვისმენთ ბრიგადების ეროვნული შემნილი სასურსათო პროგრამის კომისიათა ხელმძღვანელების ანგარიშებს, ხორციელდება სხვა ღონისძიებებიც.

ამ შუამობის სასიკეთო ნაყოფი ხელშესახებად გამოჩნდა ახლახან, როცა ღია პარტიულ კრებზე განვიხილეთ სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის ეროვნული წლის მანძილზე გაწეული შუამბა. შედეგები მართლაც კეთილშობილია. ეროვნული ბიოქიმიური პროცესები მიმდინარეობს. სალრნობ მანჭანაში შემავალი ცხელი პაერის ტემპერატურის ზუსტი სტაბილირება საშუალებას იძლევა ჩაის ფოთლიდან თანაბრად აორთქლდეს ტენი. ღნობის პროცესის სწორი წარმართვა ჩაის შემდგომი გადამუშავების აუცილებელი პირობაა.

ჩვენმა ინსტიტუტმა წარმატებით გაართვა თავი ძნელ ამოცანას — ჩაის ფოთლის ერთდროული ღნობის, ფიქსაციისა და შრობის ავტომატური სისტემის დამუშავებას. შეიქმნა ტექნოლოგიური პროცესების ავტომატური კონტროლისა და მართვის მოწყობილობა „ღფშ 1“ (თემის ხელმძღვანელი — ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ა. მეზაფური, განყოფილების უფროსი — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ზ. სამხარაძე). მოწყობილობა ახორციელებს მრავალმხრივ კონტროლსა და რეგულირებას. ეთდროულად ემსახურება ექვს სხვადასხვა პროგრამის მქონე ობიექტს, ამასთან სხვადასხვა რეჟიმით. მოწყობილობა დამუშავებულია ბლოკური პრინციპით, რაც ერთიორად ზრდის მოწყობილობის იმედიანობას და ადვილებს მომსახურებას.

შარშან ჩვენმა მოწყობილობამ ჯერ საწარმო, ხოლო შემდეგ საუწყებათაშორისო გამოცდა გაიარა ლანჩხუთის ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების ჩაის ფაბრიკაში. გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. ავტორიტეტულმა კომისიამ მოწყობილობას რეკომენდაცია მისცა ხარისხის უმაღლეს კატეგორიაზე წარსადგენად.

საკავშირო გაერთიანებამ საკანონმდებლო საწყისებზე ამოიღო დადგენილება მიმდინარე წლიდან მოწყობილობის სერიულად გამოშვების თაობაზე. ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია დამზადდეს და ჩაის ფაბრიკებში დაინერგოს ჩაის ფოთლის ღნობის, ფიქსაციისა და შრობის ტექნოლოგიური პროცესების ავტომატური კონტროლისა და მართვის 200 მოწყობილობა. ერთი მოწყობილობის დანერგვით მიღებული წლიური ეკონომია ჩაის ფაბრიკებში 61,6 ათას მანეთს შეადგენს.

აღუდგენოთ ქართულ ჩაის ძველი დიდება — მოწოდებად გაისმის დღეს არა მარტო ჩაის პლანტაციებსა და ჩაის ფაბრიკებში, არამედ სამეცნიერო ლაბორატორიებშიც. ამ პატრიოტულ საქმეში აქტიური მონაწილეობით ღირსეულ წვლილს შეიტანთ სკკ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებასა და სასურსათო რესურსების გადიდებაში.

რ. თევზაძე,
გორის მრეწველობის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ბუდადიდს რაიონის კახეთის მარკსის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

სახელმძღვანელო მითითება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე, რომელმაც განიხილა და შეიმუშავა სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამისა და მისი რეალიზაციის ღონისძიებების, თავის მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მეცნიერებმა ბევრი რამ გააკეთეს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, მაგრამ ის, რაც გუშინ გვაკმაყოფილებდა, აშკარად ვერ დაგვაკმაყოფილებს უკვე ხვალ და დღესაც კი.

ცნობილია, რომ შაბ ჩაის პროდუქციის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული ფოთლის ღნობის, ფიქსაციისა და შრობის ავტომატურ მართვაზე.

ღნობის დროს ჩაის ფოთოლში რთული ბიოქიმიური პროცესები მიმდინარეობს. სალრნობ მანჭანაში შემავალი ცხელი პაერის ტემპერატურის ზუსტი სტაბილირება საშუალებას იძლევა ჩაის ფოთლიდან თანაბრად აორთქლდეს ტენი. ღნობის პროცესის სწორი წარმართვა ჩაის შემდგომი გადამუშავების აუცილებელი პირობაა.

ჩვენმა ინსტიტუტმა წარმატებით გაართვა თავი ძნელ ამოცანას — ჩაის ფოთლის ერთდროული ღნობის, ფიქსაციისა და შრობის ავტომატური სისტემის დამუშავებას. შეიქმნა ტექნოლოგიური პროცესების ავტომატური კონტროლისა და მართვის მოწყობილობა „ღფშ 1“ (თემის ხელმძღვანელი — ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ა. მეზაფური, განყოფილების უფროსი — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ზ. სამხარაძე). მოწყობილობა ახორციელებს მრავალმხრივ კონტროლსა და რეგულირებას. ეთდროულად ემსახურება ექვს სხვადასხვა პროგრამის მქონე ობიექტს, ამასთან სხვადასხვა რეჟიმით. მოწყობილობა დამუშავებულია ბლოკური პრინციპით, რაც ერთიორად ზრდის მოწყობილობის იმედიანობას და ადვილებს მომსახურებას.

შარშან ჩვენმა მოწყობილობამ ჯერ საწარმო, ხოლო შემდეგ საუწყებათაშორისო გამოცდა გაიარა ლანჩხუთის ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების ჩაის ფაბრიკაში. გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. ავტორიტეტულმა

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲠᲐᲫᲘᲚᲐᲜ

Ф. ТГ-12

МИНИСТЕРСТВО СВЯЗИ СССР

ТЕЛЕГРАММА

ПРИЕМ: ——го ——ч. ——м.
ПЕРЕДАЧА: ——го ——ч. ——м.
БЛ. №60
№ связи ——
Принята ——
Передана ——
Из ——
№*)
Адрес: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲓᲔᲓᲘᲜᲘᲡ 14 ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ 2702 92 21/5 ᲡᲐᲐᲗᲘ 18/12 ᲬᲣᲗᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲐᲛ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲛᲐᲦᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ ᲡᲙᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Გ. Ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲡ; ᲓᲐ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲔᲑᲔᲜ ᲠᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲔᲛᲐᲠᲗᲗᲔᲑᲘᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲗᲐ ᲕᲐᲚᲐᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ, ᲐᲛᲡᲗᲐᲜ ᲘᲛ ᲓᲘᲓ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ 100.000 ᲪᲝᲜᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ, ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲐᲮᲚᲐ ᲜᲐᲕᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ 97.000 ᲪᲝᲜᲘᲡᲐ. ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲐᲛᲔᲢᲠᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲑᲐᲗ“.

ᲬᲣᲗᲐ ᲑᲔᲠᲣᲚᲐᲕᲐ

წითელწყაროს 25 მაისი

ვერტმფრენი ოდნავ შეირხა
და შენს მინაზე ვეშვებით,
რომ ჩვენი თვალით ვიხილოთ
სტიქიის ნათარეშვე;

რომ შენს ველ-მინდორს
მოვედოთ,
ვითარცა ძალა მაშველი, —
ყოველგვარ სეტყვის მძლეველი,
ყოველგვარ ღრუბლის
დამშლელი!

ო, რა დიდი ხარ, კახეთო,
რა ვაჟკაცურად გვეხვევი,
მტერთაგან ნაუქცეველი,
ჭირთაგან გაუტეხელი!

თუმცა თვალებში ჯანღი გაქვს
და ვაზის დარდით ილვევი,
შენს ტკივილს უკვე ნამლობენ
შენი მაშვრალი შვილები!

ხედავენ შენი მგოსნები
და შენი კალმისხაცები,
როგორ წევს ვაზი ულმობლად
დასეტყვილი და ნაგრმელი,

ვაზი კი არა, სულისდგმა
და სიამაყე შენივე,
ამდენი შრომა-ამაგით
ფრთები რომ გააშლევინე...

მაგრამ იმასაც ხედავენ,
რომ ზემო ქედი მზად არი,
თუ მოვარდება ათასჯერ,
ათასჯერ სძლიოს ავდარი.

რუსუდან ხადიაშვილის
მთელი ბრიგადაც აქ არი,
რომ გააცოცხლოს ვენახი
რქაჩამტვრეული, ჩამქრალი.

არხილოსკალო, საბათლო
მხარში. უდგანან ერთმანეთს,
თუ ძმობა გინდა ინატრო,
აი, აქ ნახავ, ღმერთმანი!

ქვემო ქედიდან მოგვსმის
ომახიანი ძახილი:
— მეც იმედგაუმქრალი ვარ,
განა იარაღდაყრილი!

...ო, რა კარგი ხარ, კახეთო,
რა ვაჟკაცურად გვეხვევი,
ჯამთაგან ნაუქცეველი,
ჭირთაგან გაუტეხელი!

თუმცა თვალებში ჯანღი გაქვს
და ვაზის დარდით ილვევი,
შენთან არიან დღემუდამ
ჩვენი მამულის შვილები.

ᲕᲘᲖᲘᲢᲐᲓ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით 25 მაისს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტი რ. კირხლშლეგერი.

აეროდრომზე პრეზიდენტს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი. (საკადრო).

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

სატრანსპორტო ხომალდის შეპირაპირება

1982 წლის 25 მაისს მოსკოვის დროით 11 საათსა და 57 წუთზე „პროგრეს-13“ ავტომატური სატვირთო ხომალდი შეუერთდა „სალუტ-7“ — „სოიუზ ტ-5“ ორბიტალურ პილოტირებულ კომპლექსს.

კოსმოსური ანარაკების ორმხრივი ძებნა, მიახლოება, მიდგომა და შეერთებრივ სრულდებოდა ფრენის მართვის ცენტრის კომანდებით და ავტომატიკის მეშვეობით. მიდგომისა და შეერთებრივის პროცესებს აკონტროლ ეზ დ ა ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ეკიპაჟი — კოსმონავტები ბერეზოვოი და ლებედევი. სატვირთო ხომალდი შეუერთდა საგარეო ბლოკს ნაკვეთურის მხრიდან. „პროგრეს-13“ ხომალდსა ორბიტაზე მიიტანა საობობი სადაურის გიერთიანებული ძრავის დანადგარისათვის მოწყობილობა, ანარატერა.

ეკიპაჟის პატაკებითა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით „სალუტ-7“ — „სოიუზ ტ-5“ — „პროგრეს-13“ სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

კოსმონავტები ანატოლი ბერეზოვოი და ვალენტინ ლებედევი თავს კარგად გრძნობენ.

ᲐᲕᲐᲛᲐᲦᲚᲝᲗ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲥᲛᲔᲓᲘᲗᲝᲑᲐ

24 მაისს ბათუმში გაიმართა საქართველოს კომპარტიის სოფლო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების იდეოლოგიის დარგის მდივნების, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების მეცადინეობა, რომელიც მიეძღვნა თემას: „პოლიტიკურ-აღზრდელობითი მუშაობაში ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების გზები და საშუალებანი სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების მოთხოვნათა შესაბამისად“.

სულის 160-ზე მეტი მსმენელი გაიყო ოთხ სექციად. იდეოლოგიური მუშაობის დაგეგმვაში ფორმალიზმის აღმოფხვრის საკითხებს მიეძღვნა ბათუმის მაწანაძისაშენებელი ქარხნის სექციის მეცადინეობა, რომელსაც პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე ხელმძღვანელობდა. მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებათა მომზადებასა და განხორციელებაში ფორმალიზმის გამოვლინებათა აღმოფხვრის გზებს განიხილავდა ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის სექცია. მეცადინეობას ი.ქ უძღვებოდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი რ. ბუტბა. მესამე სექციის მუშაობა ეხებოდა პარტიული და ეკონომიკური განათლების სისტემაში ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. იგი მიმდინარეობდა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის ნ. გეგეჭკორის ხელმძღვანელობით. ბათუმის საზღვაო ნავსადგურში გაიმართა მეოთხე სექციის მეცადინეობა — „აქ იზიდავდნენ იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის შეფასების დროს ფორმალიზმისა და ზერელობის აღმოფხვრის ამოცანებს. მეცადინეობას უძღვებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე მოდგელე ა. იოსელიანი.

ამავე დღეს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა პლენარული მეცადინეობა. სექციების ხელმძღვანელებმა, რომლებმაც გააკეთეს საანგარიშო მოხსენებები, ერთსულოვნად აღნიშნეს მეცადინეობის მონაწილეთა აქტიურობა, მათ მიერ დასმული საკითხების აქტუალობა და იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილების ცოცხალი გაზიარების დადებითი ეფექტი.

პლენარიულ სხდომებზე კონკრეტულ, საქმიან გამოსვლებში აღინიშნა, რომ ფორმალიზმის დაძლევა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რომელსაც მიზნად გვიასახავს სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის „შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. ყველაფერი, რაც რესპუბლიკაში უკანასკნელ ათწლეულში გაკეთდა, შეიძლება მტკიცე ბაზა გახდეს იდეოლოგიურ მუშაობაში ძირეული გარდაქმნისათვის.

მეცადინეობებზე ყოველმხრივ განხილეს ცხოვრებასთან სალექციო პროპაგანდის მჭიდრო კავშირი.

ამასთან დაკავშირებით გაკაკრიტიკეს ათეისტური პროპაგანდის დონე, რომელშიც ყველაზე უფრო ნათლად ჩანს ფორმალიზმი.

მეცადინეობათა შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ეხუქიძემ.

სკოლის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ე. შარტავა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ჩიგოგიძე, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. (საქინფორმი).

ᲙᲐᲚᲛᲘᲗ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ

25 მაისს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელები, ცნობილი პროზაიკოსები, პოეტები, პუბლიცისტები ჩავიდნენ წოთელწყაროს რაიონში, რომელიც კახეთის სხვა რაიონებთან ერთად მეტად დაზარალდა ყინვისა და სეტყვისაგან. საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის მიერ ორგანიზებული მოგზაურობის მონაწილეები იყვნენ მეურნეობებში, დაათვალიერეს დასეტყვილი ნათესები და ვენახები, ესაუბრნენ რაიონის თავკაცებს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, მიწათმოქმედებს.

იმ ტერიტორიის ვერტმფრინაველით შემოვლის შედეგად, რომელმაც ყველაზე მეტად განიცადა სტიქიონის შემოტევა, შეკრებილა ვრცელი მასალა, რომელიც გამოსაქვეყნებლად მომზადდება. (საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

საჭიროა მეტი და კარგი ლექსიკონები

გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მორიგი სხდომა, რომელშიც განიხილა ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონები, ქართული ენის ერთტომეული განმარტებითი ლექსიკონი, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ერთტომეული ლექსიკონები, ქართულ-რუსული სასკოლო ლექსიკონი, დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონები, აგრეთვე ქართული ენის დიალექტების ლექსიკონები, რომლებსაც დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ სალიტერატურო ენის ნორმების დასადგენად.

ამასთან ერთად საგამომცემლო გეგმებში საკმარისად არ არის გათვალისწინებული ცალკეული ლექსიკონების პრაქტიკული და მეცნიერული აქტუალურობა, მათი საჭიროება და მოთხოვნილება გამოცემების რიგითობის ვადების დადგენისას, ყოველთვის რაციონალურად არ განსაზღვრება მათი ტირაჟი.

კომისიის სხდომაზე ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. მაღრაძემ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ გ. თოფურიამ. მათ აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ორ წელიწადში გამოიცა თ. ბაგრატიონის მიერ მომზადებული „წიგნი ლექსიკონი“, თ. ბერიაშვილის, მ. მესხიშვილის, ლ. ნოზაძის — ქართული დიალექტის ლექსიკონის მასალები, გ. ბერიძის — ჯავახური დიალექტის ლექსიკური მასალები, თ. და ი. გვარჯალაძეების — ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, ი. ჯიბლაძის — გერმანელ-ქართული ლექსიკონი, მეორე რიგი ტერმინოლოგიური ლექსიკონები: ალეშერგაბმოლობისა — მ. სულთანიშვილის და გ. ჭრიანტესიშვილის; რადიოტექნიკისა — დ. ხმაოლაშვილის; ო. ონანოს და რ. პეტრიაშვილის — ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმის განმარტებითი ლექსიკონი, რ. ალეკსაძის — სამხედრო ტერმინთა რუსულ-ქართული მოკლე განმარტებითი ლექსიკონი და სხვ.

ამავდროულად აწყობილია და გამოიცემა ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი 50 ათასი ცალი ტირაჟით.

დიდი ტირაჟით გამოვა აგრეთვე ერთტომეული რუსულ-ქართული ლექსიკონი.

1982-1985 წლებში მკითხველი მიიღებს დ. ლეკნიშვილის — ქართულ-რუსულ ლექსიკონს, ქ. დათიკაშვილის — სამტომეულ ქართულ-რუსულ ლექსიკონს, ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილ ქართული ენის ისტორიულ ლექსიკონს, ტექნიკურ, ფიზიკურ, ეკონომიკურ, საზღვაო, პოლიგრაფიულ, ავტომატურ-სპორტულ, ეკონომიკისა და საკონსერვატორიულ-ბიბლიოგრაფიულ ლექსიკონებს.

სულ მეთერთმეტი ხუთწლედი ითვალისწინებულია გამოიცეს სამოკავშირეო დასახელების ზოგადი და დარგობრივი, განმარტებითი, ფრაზეოლოგიური, ორენოვანი და ტერმინოლოგიური ლექსიკონები.

სახელმწიფო კომისიის წევრმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ი. ქავთარაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის განყოფილებათა გამგეებმა მ. ჭანაშვილმა და რ. ლომაშოძემ ილაპარაკეს ერთტომეულ რუსულ-ქართულ ლექსიკონზე მოკლე განმარტებითი ლექსიკონი და სხვ.

ამავდროულად აწყობილია და გამოიცემა ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი 50 ათასი ცალი ტირაჟით.

ენათმეცნიერების ინსტიტუტმა მოამზადა ქართული ენის ერთტომეული განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც შედგენილია აკადემიკოს ა. ჩიქობავას რედაქციით გამოიცემული რეტროფიტური ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის საფუძველზე და არსებითად მის შემოკლებულ ვარიანტს წარმოადგენს. გამოსაცემად მზად არის ერთტომეული ქართულ-რუსული ლექსიკონი, გ. ახვლედიანისა და ვ. თოფურიას ქართულ-რუსული სასკოლო ლექსიკონის ახალი რედაქცია, რ. ლომაშოძის — ინგლისური დიალექტის ერეული ლექსიკონი და რამდენიმე დარგობრივი ტერმინოლოგია.

გამომცემლობების „საბჭოთა საქართველოს“, „განათლების“, „ხელოვნების“ დირექტორებმა გ. ფანდურიძემ, ლ. ხუნდაძემ, ნ. ჯაშმა ილაპარაკეს ლექსიკონებისა და სხვა საცნობარო ლიტერატურის გამოცემაზე მუშაობის შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ცალკეული გამოცემათა რეცენზირების საქმეში დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის კოლეგიენები. მაგრამ საჭიროა შეიქმნას ერთიანი საყოფიერებიანი ცენტრი, რომელიც არა მარტო მოახდენდა რეცენზირებას, არამედ მაღალი მეცნიერული პოზიციებიდან შეასწავლიდა მოთხოვნილებას ეოდნის ამა თუ იმ დარგის ლექსიკონებსა და საცნობარო ლიტერატურაზე, რეკომენდაციას მისცემდა და დაიწყებდა სადირექტორო ორგანოების თანხმობით მათი გამოცემის რიგითობისა და მიზანშეწონილ ტირაჟებს. ამის შესახებ ილაპარაკეს სხდომაზე კომისიის წევრებმა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა გ. ჯიბლაძემ, საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ო. ქინქლადმემ, მწერალმა-აკადემიკოსმა გ. აბაშიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა რ. დვალმა.

სხდომის მუშაობის შედეგები შეაჯამა ამხ. ზ. პატარიძემ.

კომისიის მიერ მიღებულ დადგენილებაში გათვალისწინებულია ლექსიკონების გამოსაცემად მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი, რეკომენდებულია დაჩქარდეს, უწინარეს ყოვლისა, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის, ერთტომეული რუსულ-ქართული ლექსიკონის, სასკოლო ქართულ-რუსული ლექსიკონისა და სხვა ლექსიკონების გამოცემა, რომლებიც ხელს შეუწყობენ სალიტერატურო ენის ნორმების დანერგვას და რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა რესპუბლიკაში.

კომისიამ საჭიროდ მიიჩნია დაწესდეს, რომ დარგობრივი ტერმინოლოგიები საგამომცემლო გეგმებში შეტანილი უნდა იქნეს შესაბამისი ტერმინოლოგიური კომისიების, ხოლო ლექსიკონები, — თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის დასკვნების საფუძველზე.

ბადაწყდა აგრეთვე შემუშავდეს და წარმოდგენილ იქნეს კომისიის განსახილველად წინადადებები ლექსიკონების და ტერმინოლოგიების გამოცემის საქმის კოორდინაციის შესახებ.

(საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება: დადგენილება და კომუნისტები

ფართოდ მხრებგაშლილი მხარე—ასე შეიძლება ვუწოდოთ დღეს საბჭოთა სამხრეთ ოსეთს, რომლის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის მეტად თვალსაჩინოა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განუხრელი ზრუნვა და დახმარება.

1974 წელს და მეორედ 1979 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილებები, რომლებიც სწორედ სამხრეთ ოსეთის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას ითვალისწინებდა. ამ დადგენილებებმა, რომელთა შესრულებისათვის ინიციატივიანად იღვაწა პარტიის საოლქო კომიტეტმა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის აღმავლობაში. 1974-1981 წლებში ოლქის სახალხო მეურნეობის განვითარებას მოხმარდა 134 მილიონამდე მანეთი. ეს კი 2,5-ჯერ აღემატება წინა რვა წელიწადში ამ მიზნით დახარჯულ სახსრებს. აშენდა და მწყობრში ჩადგა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ობიექტები — ტრიკოტაჟის თეთრეულის ფაბრიკა, ხე-ტყის კომბინატის საავეჯო საამქრო, კვაისის მაღაროთსამმართველოს მადნის მამდიდრებელი ფაბრიკა, სოფლის მეურნეობაშიც მოხდა სასია-…

მცირეა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა. მრავალი საჭირბოროტო საკითხია გადასაწყვეტი ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და მომსახურების სფეროს ნორმალური მუშაობისათვის. ზოგი ორგანიზაცია სრულად ვერ ითვისებს გამოყოფილ სახელმწიფო სახსრებს. ამიტომ, ცხადია, არ არის ჯეროვანი უკუგება. ეს ძირითადად დიდი ობიექტების კაპიტალდაბანდებას ეხება. მათ არ შეეფარდება ოლქის სამშენებლო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური სიმძლავრეები.

ამ გარემოებებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეექვსე პლენუმმა, რომელმაც განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის, პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ფელიქს სანაკოევის მოხსენება „სა-…

…თოდების მომარჯვება, რაც ხელს შეუწყობს ოლქის ეკონომიკის ამაღლების პროგრამის იმ დონეზე შესრულებას, რომელსაც მიზნად …

…ოლქის შექმნის 60 წლის თავი და მერე უფრო დიდი მოვლენა — სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავი.

შენების, წინსვლის ახალი პროგრამა

სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე

…ოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესრულებაში".

გაფართოებული პლენუმის ყურადღების ცენტრში იდგა სამხრეთ ოსეთის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის თაო-…

…ისახავს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები.

სამხრეთ ოსეთის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის ახალი პროგრამის შესრულება მოითხოვს მის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას. ამიტომაც ამავე პლენუმმა მეორე საკითხად განიხილა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნის ა. ფარასტაევის მოხსენება „სკკპ XXVI ყრილობის გადა-…

მოგეხსენებათ, იდეოლოგიური მუშაობის მთავარი მიზანი მასების პოლიტიკური ცოდნით შეიარაღებაა. ამიტომაც პარტიული კომიტეტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პარტიულ-ეკონომიკური სწავლების დონის ამაღლებას. პოლიტსკოლები, თეორიული სემინარები ადამიანთა პოლიტიკური ცოდნით აღჭურვის, კომუნისტთა წრთობის საუკეთესო საშუალებაა. პოლიტსწავლების ყველა ფორმაში ოლქში 17.624 კაცია ჩაბმული. მათ …

…შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის, მეცნიერულ საფუძველზე წარმოების ორგანიზაციისა და მართვის გაუმჯობესების, ტექნიკური თუ სამეურნეო საკითხები.

…ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობის, ძმობის ახალ გამოვლინებად აღიქვეს.

ახალი დადგენილების შესასრულებლად დამტკიცებული გეგმა …

ქართველები ბამზე

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს, რომლებმაც ბაიკალ-ამურის მაგისტრალის დასავლეთ უბანზე ყველაზე ლამაზი დაბა ნიაგრუზინსკაია ააშენეს, ახლა ახალი დაბის — იკაბიის მშენებლობა დაიწყეს. მოსახლეობის რიცხვით იგი ცოტათი თუ ჩამორჩება ნიაგრუზინსკაიას.

მთავრდება მოსამზადებელი სამუშაოები მომავალი დაბის ადგილას. „თბილისქალაქმშენის" დამპროექტებლები და არქიტექტორები ადგენენ იკაბიის პროექტს.

● ●

სურათზე: (მარცხნიდან) არქიტექტორი ლევან ბოკერია, რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი ვლადიმერ ქურთიშვილი, „საქბამმშენის" უფროსი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ანზორ დვალიშვილი და არქიტექტორი ვალერი ბახტაძე განიხილავენ დაბა იკაბიის პროექტს.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).



…ვით სასტუმრო საექსპლოატაციოდ 1979 წელს უნდა გადაცემულიყო. რა მოხდა მას შემდეგ? წამოიჭრა მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, გზადაგზა კორექტირება ხდებოდა პროექტში, დაყოვნდა ალუმინის …

…კონსტრუქციების დამზადება, ძნელად საშოვარი გახდა სხვა დეფიციტური მასალები. სუბიექტურ მიზეზებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ტრესტმა მშენებლობაზე ვერ უზრუნველყო შრომის სწორი ორგანიზაცია, უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდნენ თავიანთ მოვალეობას ქვემოიჯარე ორგანიზაციები. ვთქვათ, ალუმინის კონსტრუქციები დროულად ვერ მიიღეს, მაგრამ ორი გვერდის მოპირკეთებას, შიდა სამუშაოების დაჩქარებასა და საქვაბის მშენებლობის დამთავრებას რატომ არ დაადგა საშველი? სასტუმროებისა და სხვა ჩამორჩენილი ობიექტების მშენებლობის საკითხს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურო თითქმის ყოველ კვარტალში იხილავს. არსებული მდგომარეობის, მომარაგებასა და სხვა საკითხების მოგვარებაში ტრესტის ხელმძღვანელებს ყოველმხრივ ეხმარებოდნენ, მაგრამ ამაოდ — მშენებლებმა საქმეში მაინც ვერ შეიტანეს გარდატეხა!

სამარცხვინო ფაქტია! 13 წელია სასტუმროები შენდება და ჯერაც არ დამთავრებულა. ამ ხნის განმავლობაში ტრესტის მიზეზით მილიონობით მანეთი დარჩა აუთვისებელი. სასტუმროები …

როდემდე ველოდოთ?

ასეთი ტემპით ფონს ვერ გავალთ

დროულად რომ გადაცემულიყო საექსპლოატაციოდ, აქამდე სახელმწიფო უდიდეს მოგებას ნახავდა.

შარშან № 5 სამშენებლო ტრესტმა სახელმწიფო გეგმა 81,9 პროცენტით შეასრულა. ბათუმის სასტუმროს მშენებლობაზე ვერ აითვისა 330 ათასი მანეთი, ხოლო სასტუმროს საქვაბის მშენებლობაზე — 193 ათასი მანეთი. წელს საქვაბის მშენებლობა „საქმექანმონტაჟის" ბათუმის უბანმა (უფროსი ტ. შევჩენკო) დამკვრე-…

ხუთწლედის ხარაჩოებზე

რა მდგომარეობაა № 5 ტრესტის სხვა მშენებარე ობიექტებზე? სამწუხაროდ, ვერც ერთ მნიშვნელოვან ობიექტს, 99-ბინიანი საცხოვრებელი სახლის გარდა, ვერ დავასახელებთ, რომ იქ კარგი მდგომარეობა იყოს. ერთ ფაქტსაც მოვიყვანთ: ბათუმის პრესის სახლი მიჩნეულია 1983 წელს გასაშვებ ობიექტად. მისი მშენებლობა 1978 წელს დაიწყო. მაგრამ ვინ უნდა ააშენოს, როცა ობიექტზე იშვიათად ნახავთ მშენებლებს. სამშენებლო მოედანი სანახევროდ მიტოვებულია, 4 წლის განმავლობაში სახელმწიფო გეგმა მხოლოდ 46 პროცენტით შესრულდა. იანვარ-თებერვალში 60 ათასი მანეთის ნაცვლად მხოლოდ 11 ათასი მანეთი აითვისეს, (მშენებლობას აწარმოებს № 2 სამმართველო). ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს მშენებლებმა დაივიწყეს ობიექტის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ტრესტმა მრავალი ობიექტი ნაჩქარევად და უხარისხოდ ჩააბარა. პანსიონატ „ჰორიზონტის" საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ იმდენი დეფექტი გამოვლინდა, რომ მთელი წელი მოუნდნენ დეფექტების გასწორებას, რის გამოც დაიკარგა ძვირფასი დრო და ზედმეტად დაიხარჯა ათიათასობით მანეთი. ანალოგიური მდგომარეობაა ახლადაშენებულ ზოგიერთ სხვა ობიექტზე. იერიშობას, უპასუხისმგებლობასა და უსულგულობას მუდამ სავალალო შედეგი მოსდევს. სამწუხაროდ, მშენებლები (განსაკუთრებით ხელმძღვანელები) შეეჩვივნენ გაკიცხვას და საყვედურებს მოსმენას. ჩამორჩენის ასახსნელად მუდამ ეძებენ მიზეზებს. სამწუხაროა ისიც, რომ სამშენებლო ტრესტის სხვადასხვა სამსახურებს შორის არ არის საქმიანი კონტაქტები, პროფკავშირული ორგანიზაცია სუსტად წარმართავს სოციალისტურ შეჯიბრებას, კომპლექსური ბრიგადები ფორმალურად არის ჩამოყალიბებული, პარტიული კომიტეტის ახალი მდივანი ორი თვეა რაც ამ თანამდებობაზე ირჩიეს, და, ცხადია, პარტიულ სამეურნეო მუშაობაში ჯერ …

უპირველესი — სასურსათო პროგრამა

წალენჯიხის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ჯიშიანი პირუტყვის ფერმებს „ბარშემო პირუტყვის მწვანე საკვებად გამოსაყენებელი მრავალწლოვანი და ერთწლოვანი ბალახების — სამყურას, იონჯას, შვრიის ნათესები აკრავს. მრავალთა შორის მოწინავეა წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფერმები. მეურნეობის სახელოვანი კოლექტივის შრომითი საქმეები კარგად არის ცნობილი ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც. ამის დასტურია მრავალი საკავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა;

მეურნეობაში დიდი ყურადღება მიექცა პირუტყვის უზრუნველყოფას ყუათიანი საკვებით.

ახლა ფერმას არ იკითხავთ? სადა შენობები — ლამაზად შელესილი და შეთეთრებული, იდეალური სისუფთავე, საუკეთესოდ მოვლილი ფურები, …

…თველი — ა. შენგელაია) მუშაკთა მუყაით საქმიანობაზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ამ წერილში მეტი შესაძლებლობა არა გვაქვს. ვიტყოდით მხოლოდ პირუტყვის მომვლელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებზე, რომლიც აქ უპირველესი საზრუნავი გახდა.

სოფელ ორჯონიკიძეს ძველად სააფაქის ეწერს ეძახდნენ. ეწერი კი მწირ, მოუსავლიან მიწას ნიშნავს. მაგრამ აქ, ამ ნიადაგზე კარგად იხარა ჩაიმ. საკოლმეურნეო შრომამ წელში გამართა გლეხკაცი, ახლა შეძლებულად ცხოვრობენ ორჯონიკიძელები.

აქ საამაყოა მეცხოველეთა მიღწევები. შარშან საშუალოდ ძროხაზე მიღებულია 3.492 კილოგრამი რძე, ნაცვლად 1980 წელს მიღებული 3.422 კილოგრამისა. რძის წარმოების გეგმა 137,5 პროცენტით შესრულდა. ასევე წინა წელთან შედარებით შარშან სახელმწიფოს მიეყიდა 34 ცენტნერით მეტი რძე, 84 ცენტნერით მეტი ხორცი. სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით ხორცისა და რძის მიყიდვით კოლმეურნეობამ 26 ათასი მანეთი დამატებითი მოგება მიიღო.

…რამით; სახელმწიფოს მიეყიდა 25 ცენტნერით მეტი რძე და 60,9 ცენტნერით მეტი ხორცი. ფერმის ეს და სხვა მიღწევები ძროხის მომვლელების თარაშ, დოდო და ასმათ ქარდავების, ნელი ძაძამიას, პლატონ აბრალავას, გიორგი კვარაცხელიას და იზა შონიას ყოველდღიური გარჯის შედეგია.

სვანეთის პიტალო კლდეები თავს დაჰყურებენ სოფელ ლიას.

…რამის ნაცვლად 1.958 კილოგრამი რძე მიიღეს. ხორცისა და რძის დამზადების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საგეგმო დავალებები გადაჭარბებით შესრულდა.

წლეულს პირველ კვარტალში 403 ცენტნერი რძე აწარმოეს — შარშანდელზე 20 ცენტნერით მეტი; სახელმწიფოს მიეყიდა 385 ცენტნერი რძე, ანუ საგეგმოზე 105 ცენტნერით მეტი, ხორცი მიეყიდა 112 ცენტნერი.

…მოვლილი პირუტყვი ჭირვეული ზამთრისა და გაზაფხულის პირველი თვის დიდთოვლიანობის მიუხედავად ჯანსაღად არის და უზრუნველყოფილია ყუათიანი საკვებით.

ასეა სხვა სოფლებშიაც.

1981-1982 წლების გამოზამთრების პერიოდში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის რაიონის მეცხოველეები რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრე-…

…რივ მკვიდრთა ძირითადი შემოსავალი. ამიტომ მეცხოველეები მომთაბარე მეჯოგეობას ადგილობრივ პირობებს უხამებდნენ, მეზობელ რაიონებსა და რუსეთის ველებში აძოვებდნენ პირუტყვს.

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. წალენჯიხაში გაშენდა ჩაის კულტურა, რომელიც შემოსავლის ძირითადი წყარო გახდა.

ფერმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

წალენჯიხის მეცხოველეები წარმატებით იბრძვიან პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

…იქვე მდორედ მოედინება ერთ დროს დაუდეგარი ენგური. სწორედ ენგურის გაღმა-გამოღმა ნაპირებზეა კოლმეურნეობა „თბილისის" სახნავები, საძოვრები, მეცხოველეობის ფერმები.

სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ზრუნვა თითოეული ლიელის სისხლხორცეულ საქმედ არის გადაქცეული. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის …

…ფერმის (გამგე — გივი პაჭკორია) მუშაკებმა სულიკო და ციცინო სამუშიებმა, კაკო და მარგო მარღიებმა, ლილი ჯიქონაიამ, იგორ ფიფიამ, კირილე ჯალაღონიამ გაიროვნებულ ძროხებს კარგად მოუარეს და შარშანდელ პირველ კვარტალთან შედარებით საშუალოდ ძროხაზე 50-70 კილოგრამით მეტი რძე მიიღეს.

დავათვალიერეთ სოფელ მიქავას უტუ მიქავას და ჭვარის გვეჩეროკის სახელობის კოლმეურ-…

…ბაში გამარჯვებული გამოვიდნენ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი დაიმსახურეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის შემდეგ რაიონის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მეცხოველეობის სულადობისა და …

შემაჯამებელ მეცადინეობაზე

ნაქერალას მაღალი მთის ფერდობზე მდებარეობს ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ერთ-ერთი უძველესი „დასავლეთის“ შახტი. ეს საწარმო, რომელიც ახლა მეორე ახალგაზრდობის ასაკშია, ბოლო წლების მანძილზე ჩამორჩებოდა, ვერ ასრულებდა ქვანახშირის მოპოვების სახელმწიფო დავალებას. წლის დასაწყისიდან მისმა კოლექტივმა დაძლია სიძნელეები. შახტმა გადაჭარბებით შეასრულა ოთხი თვის დავალება, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას მიაწოდა ათასობით ტონა ზეგეგმითი საკოქსე ქვანახშირი. ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ ახლა აქაურ მეშახტეებს თითოეული ტონა ქვანახშირი საგეგმოსთან შედარებით 60 კაპიკით იაფი დაუჯდათ. მარტო ამ გზით პირველ ოთხ თვეში უკვე დაზოგილია 32646 მანეთი.

ყველა ამ წარმატებაში ჩაქსოვილია თითოეული რიგითი მეშახტისა და ინჟინერ-ტექნიკოსის აზრი და შრომა. შახტში პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის შემსწავლელი ხუთი სკოლაა. რიგით მეშახტეთა ერთი ნაწილი კომუნისტური შრომის ორ სკოლაშია გაერთიანებული, დანარჩენი კომუნისტები და უპარტიო აქტივისტები თავიანთი ცოდნის დონეს ამაღლებენ პარტიის ისტორიის, მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიის, სკკპ საშინაო და საგარეო პოლიტიკის და განვითარებული სოციალიზმის პრობლემების შემსწავლელ სკოლებში.

შახტის პარტიულმა კომიტეტმა თავიდანვე დიდი ყურადღება დაუთმო პროპაგანდისტთა კადრების შერჩევას, რომლებიც პარტიული განათლების ბირთვს შეადგენენ. პროპაგანდისტებად შერჩეული იყვნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა სამეურნეო მუშაკები, რომლებსაც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ. ამან უზრუნველყო ის, რომ მეტწილ სკოლებსა და სემინარებზე მეცადინეობა მთელი წლის მანძილზე მაღალ დონეზე მიმდინარეობდა.

პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ შემსწავლელ სკოლას ხელმძღვანელობს შახტის საგეგმო განყოფილების უფროსი ინჟინერი, დიდი საწარმოო სტაჟისა და სამი ათეული წლის პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების მქონე ა. მიქიაშვილი.

...შემაჯამებელი მეცადინეობა დანიშნულ დროზე დაიწყო. მეცადინეობაზე სკოლის ბევრი წევრი პირდაპირ მიწისქვეშა სანგრევიდან მოვიდა. სამეცადინო ოთახში გაკრულია მსოფლიო პოლიტიკური რუკა, სქემები, დიაგრამები... მეცადინეობის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის აშკარად პირობები დამაკმაყოფილებელია.

პროპაგანდისტი ა. მიქიაშვილი მსმენელებს უსვამს კითხვას: „რა არის სკკპ ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი არსი და თავისებურებანი“? პასუხის გაცემის სურვილი გამოთქვა კომუნისტმა, პირველი საექსპლოატაციო უბნის ნოვატორმა მწგრეველმა, კომუნისტური შრომის დამკვრელმა ლევან სოფრომაძემ. იგი დამაჯერებლად აანალიზებს საბჭოთა კავშირის კავშირურთიერთობას სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან, მოჰყავს კონკრეტული მაგალითები. შემდეგ მსმენელი ყურადღებას ამახვილებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის პარტიის მიერ დასახულ გეგმებსა და მშობლიური საწარმოს კონკრეტულ ამოცანებზე, უფრო ვრცლად ეხება ამ საერთო-სახალხო მოძრაობაში საკუთარ ადგილსა და მოწოდებას.

ჩვენგან რუსთავის მეტალურგიული ქარხანა მაღალხარისხოვან საკოქსე ქვანახშირს მოითხოვს. როგორ იღვწით მეშახტეები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის? — შემხვედრ კითხვას უსვამს პროპაგანდისტი მსმენელს. ლ. სოფრომაძემ ეს საკითხი უკვე საწარმოს ცხოვრების კონკრეტულ ფაქტებს დაუკავშირა.

— ჩვენგან მომხმარებელი მაღალკალორიულ, ხარისხოვან ქვანახშირს მოითხოვს, — ამბობს იგო, — ხარისხის საკითხი კი ძირითადად სანგრევში წყდება. პირველი, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, არის ფენათა დამუშავების დადგენილი წესების ზუსტი დაცვა. ჩვენი შახტის მიწისქვეშა ჰორიზონტებზე ხუთი ფენაა. თითოეული ფენის ნაცრიანობა სხვადასხვანაირია. ზოგიერთი მათგანი მცირენაცრიანია, კარგია, ზოგიერთი კი შედარებით მეტ

ეკონომიკური ცოდნის ფასი და სარგებლიანობა

ფუჭ ქანს შეიცავს. ამიტომ საჭიროა მტკიცედ, განუხრელად დავიცვათ ქვანახშირის ფენების დამუშავების პროპორციულობა, ან, როგორც სამთოელები ვამბობთ, არ უნდა დავარღვიოთ ფენების მონაწილეობის წესი.

უხვნაცრიანი და მცირენაცრიანი ქვანახშირის ერთმანეთში შერევა ისეთ პროდუქციას გვაძლევს, რომელიც მთლიანად შეესაბამება საგეგმო ორგანოების მიერ დადგენილ სტანდარტს.

საუბარში ჩაერთო მსმენელი გ. ბოჭორიშვილი. იგი ქვანახშირის ტრანსპორტირების საქმეს ემსახურება და ამიტომ კარგად იცის თუ ვინ როგორ იცავს ქვანახშირის ფენების დამუშავების დადგენილ წესს, ვინ როგორ ნახშირს იძლევა.

— პირველმა უბანმა, სადაც თქვენ მუშაობთ, — გულახდილად უთხრა მან ლ. სოფრომაძეს, — მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში არაერთხელ დაარღვია ტექნიკური ექსპლოატაციის არსებული წესი და შახტის საკონტროლო განყოფილებამ 238 ტონა ქვანახშირი დაიწუნა.

ექსპლოატაციის წესის დარღვევა სხვა უბნებშიც ხდება, — დაუმატა გ. ბოჭორიშვილის ნათქვამს პროპაგანდისტმა, — როგორც გაირკვა, ბოლო ოთხი თვის მანძილზე ქვანახშირის ცენტრალურმა მამდიდრებელმა ფაბრიკამ დიდი ნაცრიანობისათვის დაიწუნა 3083 ტონა ქვანახშირი, ხოლო პროდუქციის ტენიანობის სტანდარტის დარღვევისათვის შახტს ჯარიმის სახით 4097 მანეთი გადაახდევინა.

მსმენელებმა განაცხადეს, რომ ასეთი ფაქტები მომავალში არ უნდა განმეორდეს.

სამთო ოსტატმა ლ. ისაკაძემ გააშუქა საკითხი „სკკპ კურსი წარმოების ეფექტიანობისა და ინტენსიფიკაციის ამაღლებისათვის“.

— პარტიამ, — თქვა მან, — ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს ამოცანად დაუსახა კიდევ უფრო განავითარონ ქვანახშირის, განსაკუთრებით საკოქსავის მიწისქვეშა მოპოვება, გააფართოონ შახტებში ქვანახშირის ამოღების მექანიზებული და ავტომატიზებული საშუალებების დანერგვა, უზრუნველყონ 1985 წელს 770-800 მილიონი ტონა ქვანახშირის მოპოვება.

ამ ამოცანის განხორციელებაში ჩვენი შახტის კოლექტივმაც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი, მაგრამ მეშახტეებს ბევრი სიძნელე მოგველის. განსაკუთრებით ჩამორჩება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საქმე. ქვანახშირის მონგრევის და ტრანსპორტირების პროცესში ჯერ კიდევ დიდია ხელის შრომა. სანგრევიდან მონგრეული ნახშირი გამოგვაქვს ხელით, თოხითა და ნიჩბებით. კარგი იქნება, თუ მეცნიერები მეშახტეებთან მჭიდრო კავშირის დამყარების გზით იზრუნებენ სანგრევი სამთო კომბაინისა და მექანიზებული კომპლექსის დასანერგავად.

კომუნისტებმა, სანათურე მეურნეობის უფროსმა ი. კუბლაშვილმა, მესამე საექსპლოატაციო უბნის ცვლის უფროსმა ი. ჯღლამ გააშუქეს თემები. „ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმზე“ და „სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ძ ი რ ი თ ა დ ი საშუალებაა“. მათ განაცხადეს, რომ შახტში ჯერ კიდევ სუსტად იღვწიან სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის, საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს ბრძოლა დამხმარე მასალების მომჭირნე ხარჯვისათვის, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ხე-ტყის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და ელექტროენერგიის მომჭირნე გამოყენებას. მიმდინარე წლის განვლილ ოთხ თვეში შახტს თითოეული ტონა ქვანახშირი, მართალია, 60 კაპიკით ნაკლები დაუჯდა, მაგრამ მისი გაიაფება კიდევ უფრო შეიძლება.

პრაქტიკული, საქმიანი ხასიათი მისცეს თავიანთ გამოსვლებს ვენტილაციის ცვლის უფროსმა ნ. დოგრაშვილმა, ზეინკალმა შ. ცირეკიძემ და ტექნიკური კონტროლის განყოფილების ნახშირის სინჯის ამღებმა პ. აბესაძემ. მათ ადგილობრივი ფაქტებით კარგად გააანალიზეს თავიანთ სამუშაო უბნებზე მუშის შრომის ნაყოფიერების ზრდის ფაქტები. მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები ცხოვრებიდან. თითოეული მსმენელის გამოსვლას წითელ ხაზად გასდევდა სკკპ XXVI ყრილობის ლოზუნგი „ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს“. იმასაც ხაზი გაესვა, რომ ზოგიერთი მუშაკის დაუდევრობით ხშირად ირღვევა ეს დებულება. მაგალითად, კომუნისტებმა მიუთითეს: შახტი წლების მანძილზე კოოპერირების წესით იღებდა მეტად საჭირო ლითონის სამაგრს და ნაწილების შემაკავშირებელ დეტალებს. მაგრამ დასამალი როდია, რომ სამაგრის მომარაგების საქმეში ამ ბოლო ხანებში წარმოიშვა შეფერხებები. ამის გამო სამაგრის ზოგიერთ დეტალს ადგილზე პრიმიტიული წესით ამზადებენ, რაც ხარისხზეც უარყოფითად მოქმედებს და პროდუქციასაც აძვირებს. შახტის ტექნიკური მომარაგების სამსახური ამ საკითხით უფრო მეტად უნდა დაინტერესდეს. შ. დოგრაშვილმა მოითხოვა, რომ შახტის ადმინისტრაციამ კვლავ აღადგინოს ქვანახშირის ღია კარიერით დამუშავების რენტაბელური წესი.

შემაჯამებელ მეცადინეობას ჰქონდა ზოგიერთი თეორიული და ორგანიზაციული ხასიათის ნაკლოვანებანი, აშკარად ეტყობოდა, რომ ზოგიერთმა მსმენელმა ღრმად არ გაიაზრა თეორიული მასალის ძირითადი დებულებები. პასუხის გაცემისას ისინი უფრო მეტად პრაქტიციზმით იფარგლებოდნენ. შახტის პარტიულ კომიტეტსა და პროპაგანდისტს უნდა ვუსაყვედუროთ მსმენელთა მეცადინეობაზე დასწრების მოუწესრიგებლობა. შვებულებაში ყოფნის გამო არ ესწრებოდა რამდენიმე კაცი, რამდენიმეც გაურკვეველი მიზეზით არ გამოცხადდა. არც სკოლის სამუშაო ოთახია შესაფერისი. იქ მეტისმეტი სივიწროვე იგრძნობა, მრავალფეროვანი არ არის თვალსაჩინოებანი. პროპაგანდისტსა და მსმენელს რატომღაც „დაავიწყდათ“ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა.

მეშახტე მსმენელებმა კარგად იციან, რომ ეკონომიკის, საწარმოს ცხოვრების ცოდნა დადებითს გავლენას ახდენს შახტის მთელ საქმიანობაზე, სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს მათ მომავალი სასწავლო წლიდანაც იმეცადინონ ეკონომიკის შემსწავლელ სკოლაში.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გენადი ივანეს ძე ფედერიაკოვი

მძიმე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილე ავიაციის დარგში, სსრ კავშირის დამსახურებული სამხედრო მფრინავი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი გენადი ივანეს ძე ფედერიაკოვი. მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მან მოახმარა სოციალისტური სამშობლოს, კომუნისტური პარტიის უანგარო სამსახურს, რომლის წევრიც იყო 1956 წლიდან.

გ. ი. ფედერიაკოვი დაიბადა 1929 წლის 8 ივნისს ვოლგოგრადის ოლქის სოფელ ნიკოლაევსკში, მოსამსახურის ოჯახში. 1948 წელს სამსახური დაიწყო შეიარაღებული ძალების რიგებში და მათს საბრძოლო მწყობრში განვლო გზა კურსანტიდან ავიაციის გენერალ-ლეიტენანტამდე. წითელდროშოვანი სამხედრო-საჰაერო აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი სამსახურს გადიოდა სხვადასხვა სამეთაურო თანამდებობაზე.

ყველა პოსტზე, რომელიც კი მისთვის მიუნდვიათ, გ. ი. ფედერიაკოვი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ასრულებდა თავის მხედრულ მოვალეობას, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნაწილების პირადი შემადგენლობის სწავლებასა და აღზრდაში, ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში, თავი გამოიჩინა როგორც მომთხოვნმა და მზრუნველმა მეთაურმა, უნარიანმა ორგანიზატორმა.

გ. ი. ფედერიაკოვი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი არჩეული იყო სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, იყო პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ დიდად დააფასეს სამშობლოს წინაშე გ. ი. ფედერიაკოვის დამსახურება. მას მინიჭებული ჰქონდა „სსრ კავშირის დამსახურებული სამხედრო მფრინავის“ წოდება, დაჯილდოებული იყო ოქტომბრის რევოლუციის, წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის, III ხარისხის „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამშობლოს სამსახურისათვის“ ორდენებითა და ბევრი მედლით.

გენადი ივანეს ძე ფედერიაკოვის — კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის, საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, ბ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ა. ი. შირინკინი, ნ. რ. საჯაია, ვ. კ. კირილიუკი, მ. მ. საცკოვი, გ. თ. დმიტრიევი, ე. ა. კაბანოვი, გ. ვ. ნანეიშვილი, ვ. ს. გორბატიხი.

უცხოეთის პრესის გამოხმაურება

სამშვიდობო ინიციატივები

ბერლინი. სრულიად საკავშირო ალკკ XIX ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ ახალი ძალით დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი დაუცხრომლად იბრძვის თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპის საფუძველზე შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების საკითხების გამო მორიგების მიღწევისათვის, წერს გაზეთი **„ნაციონალ-ცაიტუნგი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).**

ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის, აღნიშნავს გაზეთი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის წინადადებებს ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ.

ულან-ბატორი. სსრ კავშირის ახალი მშვიდობისმოყვარული ინიციატივები, რომლებიც განავითარებენ 80-იანი წლების საბჭოთა სამშვიდობო პროგრამას, ფასდაუდებელი წვლილია საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების, ბირთვული კატასტროფის საფრთხის თავიდან აცილების საქმეში, წერს მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი **„უნენი“.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებული კონსტრუქციული წინადადებანი გამსჭვალულია ზრუნვით მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების განმტკიცებისათვის, და მათ უაღრესად დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ.

დელი. სრულიად საკავშირო ალკკ XIX ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებულმა წინადადებებმა კვლავ დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ საბჭოთა კავშირი კონსტრუქციულად უდგება განიარაღების საკითხებს, წერს გაზეთი **„ტაიმს ოფ ინდია“.** ეს სამშვიდობო ინიციატივები ბირთვული განიარაღების კონკრეტულ გზებს სახავენ.

საბჭოთა წინადადებებზე ამერიკის ადმინისტრაციის რეაქცია მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ბირთვული იარაღის შეზღუდვის, შემცირებისა და ლიკვიდაციის საკითხებს წმინდა პროპაგანდისტული პოზიციებიდან უდგება, აღნიშნავს გაზეთი.

ლონდონი. საბჭოთა კავშირმა წამოაყენა მრავალრიცხოვანი ინიციატივები, რომელთა მიზანია მტკიცე მშვიდობის დამყარება, პროგრესის მიღწევა განიარაღების დარგში. ამის ერთ-ერთი დამაჯერებელი დადასტურებაა ამასწინანდელი წინადადებანი, კერძოდ, წინადადება სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღების განლაგებაზე ცალმხრივი წესით მორატორიუმის შემოღების შესახებ, წერს გაზეთი **„მორნინგ სტარი“.** საბჭოთა ხალხს გულწრფელად სურს მშვიდობა და ყოველ ღონეს იხმარს, რათა არ დაუშვას მეორე მსოფლიო ომის ტრაგედიის განმეორება.

ინგლის-არგენტინის კონფლიქტი

ცხარე ბრძოლები

● უტევენ ინგლისის დესანტის პლაცდარმს ● არგენტინის მთავრობის გადაწყვეტილება ● მოწოდება უშიშროების საბჭოსადმი

ნიუ-იორკი. როგორც ეი-ბი-სის ტელეკომპანია იუწყება, 24 მაისს ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების რაიონში კვლავ ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა. არგენტინის თვითმფრინავები ინტენსიურად უტევდნენ ინგლისის ფლოტს. არგენტინის მხარე უტევდა აგრეთვე ინგლისის დესანტის პლაცდარმს სან-კარლოსის ნავსადგურის რაიონში. არგენტინის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული გენერალური შტაბის ცნობით, ბოლო ბრძოლებში ჩამოაგდეს ერთი ინგლისური თვითმფრინავი „ჰარიერი“ და მწყობრიდან გამოიყვანეს დიდი ბრიტანეთის სამი სამხედრო გემი.

ტელეკომპანიის კორესპონდენტი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ინგლისის სარდლობას ჯერჯერობით მთლიანად არ ჩაუბამს თავისი ჯარები ბრძოლაში. ინგლისელებს რეზერვში ჰყავთ სამიდან ხუთი ათასამდე კაცი. იმოწმებს რა სამხედრო ექსპერტებს, კორესპონდენტი იუწყება, რომ გამორიცხული არ არის ინგლისელი მედესანტეების მიერ კუნძულებზე კიდევ ერთი პლაცდარმის ხელში ჩაგდება.

ბოლო ცნობებით, ინგლისელებმა ხელთ იგდეს პატარა აეროდრომი დაბა გუზ გრინში, რომელიც სოლედადის კუნძულზე მდებარეობს. აეროდრომის დაპყრობა, როგორც ვარაუდობენ, განამტკიცებს ინგლისის სამხედრო დაჯგუფების პოზიციებს და დამატებით შესაძლებლობას შექმნის პორტ-სტენლიზე (პუერტო-არხენტინო) — არგენტინის ჯარების მთავარ დასაყრდენ პუნქტზე შეტევისათვის.

როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, არგენტინის მთავრობა აპირებს გადასინჯოს თავისი დამოკიდებულება შეერთებულ შტატებთან, რომელიც აშკარად უჭერს მხარს ლონდონის აგრესიას. არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნ. კოსტა მენდესმა განაცხადა, რომ მისმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გაიწვიოს არგენტინის სამხედრო პერსონალი ამერიკის ქვეყნების თავდაცვის საბჭოდან.

არგენტინამ მოითხოვა სასწრაფოდ მოიწვიონ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო სესია ფოლკლენდის კუნძულებზე შექმნილი ვითარების განსახილველად.

ნიუ-იორკი. სამხრეთ ატლანტიკაში ინგლისის სამხედრო მოქმედების ესკალაცია დაგმეს არგენტინის, ნიკარაგუის, პანამისა და ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრებმა. მათ მიიღეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც გამოთქმულია მკაცრი პროტესტი დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილების გამო გააფართოოს სამხედრო-საზღვაო ბლოკადის ზონა კონტინენტის სანაპიროებამდე. ამრიგად, ბრიტანეთის აგრესია საფრთხეს უქმნის არა მარტო არგენტინას, არამედ ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებს, ნათქვამია განცხადებაში.

განცხადება შეიცავს მოწოდებას უშიშროების საბჭოსადმი, რომლის სასწრაფო სხდომაც ამჟამად მიმდინარეობს, ყველაფერი იღონოს, რათა აღიკვეთოს ბრიტანეთის კოლონიური აგრესიის ესკალაცია.

ერაყ-ირანის ფრონტზე

ბაღდადი. ერაყ-ირანის ფრონტის სამხრეთ უბანზე მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს ირანის სანავსადგურო ქალაქ ხორემშეხრის მიდამოებში, სადაც ერაყის ჯარები არიან გამაგრებული. ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის ცნობით, მას შემდეგ, რაც ერაყის ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის პირველი ცდა შეეღწია ქალაქში, ირანის სამხედრო ნაწილებმა კიდევ ერთხელ შეუტიეს ქალაქის გარეუბნებში მდებარე ერაყის პოზიციებს. ერაყის ჯარებმა, აღნიშნულია ცნობაში, მოიგერიეს მოწინააღმდეგის შეტევები და დიდად დააზარალეს იგი. ამ რაიონში გრძელდება გააფთრებული ბრძოლები.

ერაყის ოფიციალურმა სამხედრო წარმომადგენელმა უარყო ცნობები იმის თაობაზე, რომ ერაყის მხარეზე იბრძვის ეგვიპტიდან და იორდანიიდან ჩამოსული რეგულარული ჯარები.

თეირანი. ირანის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბისა და „ისლამური რევოლუციის გუშაგთა“ კორპუსის ცენტრალური შტაბის ერთობლივ ცნობაში ნათქვამია, რომ ბოლო შეტევის დროს ირანის ჯარებმა მთლიანად შემოარტყეს ალყა ქალაქ ხორემშეხრს, გზა მოუჭრეს და ბლოკადაში მოაქციეს ერაყის გარნიზონი.

თეირანის რადიომ გადმოსცა, რომ ირანის ჯარების მასირებული შეტევის შემდეგ, განთავისუფლებულია ქალაქი ხორემშეხრი. (საკდესი).

ძლევამოსილის ზურგზე

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

25 მაისი

● იაპონია

„მზიურის“ წარმატება

ტოკიო. იაპონიაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „მზიურის“ გასტროლები. დიდხანს არ წყდებოდა ოვაცია დედაქალაქის საკონცერტო დარბაზ „ტოსიმა-კოკაიდოში“, სადაც გამოვიდნენ ახალგაზრდა ქართველი მსახიობები.

„იაპონიაში „მზიურის“ ჩამოსვლა ქვეყნის მცხოვრებლებს აძლევს იშვიათ შესაძლებლობას გაეცნონ საბჭოთა საქართველოს მუსიკალურ ხელოვნებას, საქართველოში ბავშვთა შემოქმედების განვითარებას“, — თქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში ცნობილმა იაპონელმა კომპოზიტორმა ნობუო ტერახარამ.

მაყურებლების მაღალ შეფასებას იმსახურებს „მზიურის“ საკონცერტო პროგრამის დიაპაზონი. აქ არის ქართული, რუსული ხალხური სიმღერები, საბჭოთა და საზღვარგარეთელი კომპოზიტორების ნაწარმოებები. დიდი წარმატებით სარგებლობს ცეცხლოვანი ქართული ცეკვები, რომლებსაც ტემპერამენტიანად და დიდი ოსტატობით ასრულებენ პატარა მსახიობები.

კონცერტებზე, რომლებიც ყოველთვის ხალხით სავსე დარბაზებში იმართება, ყველა ასაკის ადამიანებს შეხვდებით, მაგრამ მაყურებელთა შორის, რა თქმა უნდა, ბავშვები ჭარბობენ. და ეს კანონზომიერია. „მზიურის“ ხელოვნების წყალობით იაპონიის ნორჩმა მოქალაქეებმა ბევრი რამ შეიტყვეს საბჭოთა საქართველოს, მთელი მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ბავშვების ცხოვრების, სწავლისა და გატაცებების შესახებ.

უშიშროების საბჭოში

შეწყდეს აგრესია!

ნიუ-იორკი. მუშაობას განაგრძობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა. სხდომის მონაწილეებმა მკაცრად გააკრიტიკეს ინგლისის ავანტიურისტული ნეოკოლონიალიზმის კურსი, რომელმაც განახორციელა შეიარაღებული შეჭრა ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე და შეერთებული შტატების პოზიცია, რომელიც აშკარად მიემხრო ლონდონს, რითაც ფაქტობრივად წააქეზა კონფლიქტი ომის გზით გადაეწყვიტა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნიკარაგუის მუდმივმა წარმომადგენელმა ფ. ხ. ჩამორო მორამ აღნიშნა, რომ ინგლისის აქციამ საფრთხე შეუქმნა მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას. აგრესიის ეს აქტი მიმართულია ლათინური ამერიკის ყველა ხალხის წინააღმდეგ და ხსნის საერთაშორისო გაერთიანების აბუჩად აგდებას, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბოლო მოუღოს კოლონიალიზმს, ჰეგემონიზმსა და იმპერიალიზმს, აღნიშნა მან.

ნიკარაგუის წარმომადგენელმა ამხილა ოფიციალური ვაშინგტონის მოქმედება, რომელმაც აშკარად შეკრა პირი ინგლისთან ლათინური ამერიკის ქვეყნების წინააღმდეგ. ამით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ცხადყო, რომ მისი ინტერესები მთლიანად განსხვავდება ლათინური ამერიკის ხალხთა ინტერესებისაგან, თქვა მან.

ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების ირგვლივ შექმნილი სერიოზული სიტუაცია მნიშვნელოვნად გამწვავდა იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — უშიშროების საბჭოს ერთ-ერთმა მუდმივმა წევრმა სახელმწიფომ — პოლიტიკური და მატერიალური დახმარება გაუწია ინგლისს, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პერუს მუდმივმა წარმომადგენელმა ხ. ხ. კალიემ.

მან ინგლისის მოქმედებას „დრომოჭმული კოლონიალიზმის გამოვლინება“ უწოდა.

დისკუსიის დროს გამოსულმა ლათინური ამერიკის ქვეყნებისა და მეტი წილი სხვა სახელმწიფოების დელეგაციებმა მოითხოვეს შეწყდეს ინგლისის მიერ გაჩაღებული აგრესია, მოუწოდეს მხარეებს მოაწესრიგონ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების დეკოლონიზაციის შესახებ საერთაშორისო გაერთიანების გადაწყვეტილებათა შესაბამისად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაწილეობით.

● ესპანეთი

პუტჩისტების პროცესი

მადრიდი. დამთავრდა პროცესი, რომელიც განიხილავდა იმ პირთა საქმეს, რომლებიც გასული წლის 23 თებერვალს შეეცადნენ მოეხდინათ ულტრამემარჯვენე სამხედრო გადატრიალება. განასჯელებმა ტრიბუნალის ბოლო სხდომა გამოიყენეს იმისათვის, რომ თავს დასხმოდნენ დემოკრატიულ წესებს და იმ სამხედროებს, რომლებიც კონსტიტუციის ერთგული დარჩნენ. სასამართლოს თავმჯდომარე ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა დარბაზიდან გაეძევებინა ერთ-ერთი ძირითადი ბრალდებული — სამოქალაქო გვარდიის პოდპოლკოვნიკი ანტონიო ტეხერო.

პროკურორმა მოითხოვა, რომ ტეხეროსა და გენერლებს ხაიმე მილანს დელ ბოსკას და ალფონსო არმადას მიესაჯოთ 30 წლით პატიმრობა. როგორც აქ გამოცხადდა, განაჩენი 3 ივნისს იქნება გამოტანილი.

სად რა მოხდა

გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა

ქუვეითი. არაბეთის გაერთიანებული საემიროების მთავრობამ გამოაცხადა, რომ წყვეტს დიპლომატიურ ურთიერთობას ზაირის რესპუბლიკასთან. როგორც აბუ-დაბის რადიო იუწყება, ეს გადაწყვეტილება მიიღეს ზაირსა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

მძლავრი აფეთქება

ბეირუთი. მძლავრი აფეთქება მოხდა ლიბანის დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარე საფრანგეთის საელჩოს რაიონში. წინასწარი მონაცემებით, დაიხოცა სულ ცოტა ათი კაცი. ეს უკვე მეოთხე აფეთქებაა ბეირუთში ბოლო სამ დღეში. ადგილობრივ პოლიტიკურ მეთვალყურეთა აზრით, ლიბანის დედაქალაქში ვითარების გამწვავებას ისრაელის სპეცსამსახურები ცდილობენ.

დააპატიმრეს მოწინააღმდეგენი

თეირანი. როგორც გაზეთი „ჯომჰურიე ესლამი“ იუწყება, „ისლამური რევოლუციის გუშაგებმა“ მოხბეს ანტისახელმწიფო ორგანიზაციის „მოჯაჰედინ-ე ხალყ“ [illegible] 50 [illegible]

მორიგი დანაშაული

ნიუ-იორკი. [illegible]

აქტუალური ინტერვიუ

საიმედოდ დავიცვათ სახალხო დოვლათი

რესპუბლიკის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში თუ იცავენ საიმედოდ სახალხო დოვლათს? ამ კითხვაზე საფუძვლიან პასუხს მივიღებთ მას შემდეგ, როცა დამთავრდება რესპუბლიკური დათვალიერება, რომელიც მთელ მაისსა და ივნისს გასტანს. დათვალიერების დროს განაზოგადებენ დადებითს გამოცდილებას, განსაზღვრავენ საუკეთესო საწარმოებს, სადაც სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვა საყვედურს არ იმსახურებს, დაასახელებენ დაწესებულებებს, რომლებმაც ცუდად მოაწყვეს ეს უმნიშვნელოვანესი საქმე.

დამთვალიერებელი კომისიები იქმნება ყველგან: საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სამინისტროებსა და უწყებებში. რესპუბლიკურ დარგობრივ კომისიებს სათავეში უდგანან მინისტრების მოადგილეები, ქალაქებსა და რაიონებში — სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეები. ამ საქმეში მონაწილეობენ აგრეთვე საბჭოთა ორგანოების, პროკურატურის, სახალხო კონტროლის, შინაგან საქმეთა (მიდასაუწყებო და სახანძრო დაცვის, სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ ბრძოლის, სისხლის სამართლის სამძებრო) მუშაკები.

დათვალიერება-კონკურსი ეწყობა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით. დათვალიერება-კონკურსის მიზნებსა და ამოცანებზე საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორს ვ. ი. შადურს.

— ხომ გახსოვთ, თბილისის მაღაზიები „ელექტრონიკა“, „ქართვა“ და „ზურმუხტი“ რომ გაქურდეს? ეს იყო გასული წლის აგვისტოში. დამნაშავენი მოგვიანებით ამხილეს. დატაცებული ქონება სახელმწიფოს დაუბრუნეს, მაგრამ მაშინ ჩვენი არასაუწყებო დაცვის სამმართველო, რომელსაც საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის ფუნქციები აკისრია, სამართლიანად და მკაცრად გააკრიტიკეს. კრიტიკა სასარგებლო გამოდგა. აი უკვე მერვე თვეა სახალხო მეურნეობის ობიექტებზე, რომლებსაც იცავს არასაუწყებო დაცვა, დატაცების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

შარშან ობიექტებზე, რომლებსაც ჩვენ ვიცავთ, რეგისტრირებული იყო სოციალისტური საკუთრების ხელყოფის რამდენიმე შემთხვევა. მიმდინარე წელს რესპუბლიკის არასაუწყებო დაცვის მუშაკებმა გამოიჩინეს სიფხიზლე და ოპერატიულობა და აღკვეთეს ათობით ქურდობა და სხვა დანაშაული.

მაგრამ ბევრია ისეთი საწარმოც და ორგანიზაციაც, განსაკუთრებით მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების სისტემაში, სადაც მატერიალურ ფასეულობათა დაცვას მეტად არასერიოზულად ეკიდებიან. იქ არ იცავენ სასაწყობო შენობებს, ნედლეულს, მზა ნაწარმი დაუდევრად ინახება. ყოველივე ეს დატაცებისა და სხვა ბოროტმოქმედების პირობებს ქმნის.

სწორი არ იქნებოდა მატერიალურ ფასეულობათა დაცვის ორგანიზაციისათვის მთელი ზრუნვა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებისთვის დაგვეკისრებინა. ეს ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სახალხო კონტროლის უშუალო მოვალეობაცაა. ამასთან დაკავშირებით, აი რა არის დამახასიათებელი: იქ, სადაც სახელმწიფო დისციპლინა ჯეროვან დონეზეა, სადაც სუფევს მაღალი მომთხოვნელობის ატმოსფერო, ყველა ხვრელი დაგმანულია სამართალდარღვევებისათვის. და პირიქით; თუ არ არის ეს პირობები, ხდება ყოველგვარი ბოროტმოქმედება.

— ახლა სულ უფრო მეტი ორგანიზაცია ობიექტების დაცვას ტექნიკას ანდობს.

— დიახ, მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ აქაც თქვა თავისი სიტყვა. ყოველ დასაცავ ობიექტთან თოფიანი კაცის დაყენება ყველა თვალსაზრისით საზარალოა. პოსტზე დგება ელექტრონული ტექნიკა.

— რა მიზნებს და ამოცანებს ისახავს დათვალიერება-კონკურსი?

— უწინარეს ყოვლისა, გააქტიუროს თვით შრომითი კოლექტივების მუშაობა სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისათვის. გამოავლინოს ნაკლოვანებანი, ხელი შეუწყოს დადებითი გამოცდილების განზოგადებას და ამ საფუძველზე მიაღწიოს სახელმწიფო ქონების დაცვაში საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას. დათვალიერება-კონკურსის დროს საწარმოებში მოწესრიგდება ტერიტორიების, ნედლეულის, პროდუქციის შესანახი ადგილების მდგომარეობა, საკონტროლო-გასატარებელი პუნქტები. ხორციელდება აგრეთვე წვრილმანი დატაცების თავიდან აცილების პროფილაქტიკური ღონისძიებათა კომპლექსი. ამას ხელს შეუწყობს აგრეთვე მუშებსა და მოსამსახურეებს შორის ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. მათ სამართლებრივ თემებზე ლექციებს წაუკითხავენ პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო განაზოგადებს რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის მასალებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგენს თავის დასკვნებსა და წინადადებებს. (საქინფორმი).

— ფოტოფაქტი —

ლონდონში გაიმართა მასობრივი საპროტესტო მიტინგი (სურათზე) მ. ტეტჩერის მთავრობის საშიში კურსის წინააღმდეგ, რომელიც აფართოებს სამხედრო კონფრონტაციას სამხრეთ ატლანტიკაში.

მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს ყველაფერი იღონონ დავის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, დაგმეს ინგლისის აგრესიული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების კოლონიური სტატუსის უხეში ძალით აღდგენას.

იუპი-საქდესის ფოტო.

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახვედრად

ბათუმში ძმობის გზები შეიყარა

ბათუმში ყველა გზას ზღვისკენ მივყავართ. ეს გამოთქმა 23 მაისს შეიძლება ასე გადაგვესხვაფერებინა: ბათუმში ყველა გზას დღესასწაულისაკენ მივყავართ. ქალაქმა ზეიმი სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს მიუღძვნა და ზეიმს უწოდა „ბათუმი ძმობისა და მეგობრობის ქალაქია". ამიერიდან იგი ტრადიციული გახდება.

დღესასწაული დაიწყო ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის ტბაზე გამართული წყალსაჯომარდო პარადით. ქალაქმა ზეიმის გახსნის უფლება მიანიჭა ბავშვებს, თავის მომავალს და ეს ღირსშესანიშნავია. სამგზის ორდენოსანი აჭარის დედაქალაქი გულდაჯერებით გაჰყურებს მომავალს.

ჩვენ ოპტიმისტები ვართ, — თქვა სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — იმიტომ, რომ გვჯერა შრომის ძლიერებისა.

60 წლის მანძილზე აჭარის ინდუსტრიული წარმოება, რომელშიც ბათუმი წამყვან როლს ასრულებს, 197-ჯერ გაიზარდა.

ჩვენ ოპტიმისტები ვართ, — თქვა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, — იმიტომ რომ გვჯერა ჩვენი ქვეყნისა, ჩვენი ხალხისა. საბჭოთა ხალხი ყველა ერისა და ეროვნების ერთიანი ოჯახია. ბათუმის 129-ათასიან მოსახლეობას დაახლოებით ოთხმოცი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები შეადგენენ.

ხე ფესვებით არის ძლიერი, ადამიანი კი მეგობრებით, ამბობს ანდაზა. ასეა ბათუმიც. იგი თავის დღესასწაულს ეგებებოდა დაძმობილებული ქალაქების — სოხუმის, მახაჩყალის, ხერსონის, კიროვაკანის დელეგაციებთან ერთად. ამ ქალაქებს 25 წლის მეგობრობა აკავშირებთ. იგი სოციალისტური შეჯიბრებითა და ურთიერთმიწოდებით გამოიხატება.

აი მხოლოდ ერთი მაგალითი. საქართველოს საზღვაო სანაოსნოში ხერსონში აგებული ბევრი გემია. ბათუმში მუდმივად გაეწერა ტანკერი, რომელსაც უკრაინის ქალაქის 200 წლის თავის აღსანიშნავად „ხერსონი" უწოდეს. ამ ინტერნაციონალური ეკიპაჟის წევრებმა, ზღვის დაუღალავმა მშრომელებმა დღესასწაულისათვის მეორმილიონე ტონა ტვირთი გადაიტანეს. ამ დღეს დაძმობილებულ ქალაქებს შორის დაიდო სოციალისტური შეჯიბრების ახალი ხელშეკრულებანი.

დღესასწაულს სიმბოლურად ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ფანფარების ჰანგებზე ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ მოედანზე შემოვიდა მოძმე ხალხების ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილ ქალაქელ მოსწავლეთა 15 კოლონა.

პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. ვ. მანჯგალაძემ, რომელმაც გახსნა მიტინგი, გამოსულებმა — სამრეწველო საწარმოების წარმომადგენლებმა, პარტიისა და შრომის ვეტერანებმა, სტუმრებმა აღნიშნეს, რომ დღესასწაული ჩვენი ცხოვრების განსახიერებაა. ცხოვრებამ კი ხორცი შეასხა დიდი ლენინის იდეას ძმური ერთობის ნათელ შენებაზე დაფუძნებული ერების კავშირის შესახებ.

თხუთმეტმა კოლონამ მწყობრი ნაბიჯით ჩაიარა ზღვისპირა ...

კიევის 1500 წლის თავს მიეძღვნა

სპექტაკლი — სადღესასწაულო საჩუქარი

კიევი, 24 მაისი. (საქინფორმის სპეც. კორ.). კიევის ი. ფრანკოს სახელობის უკრაინის აკადემიური დრამატული თეატრის აფიშებზე კვლავ გაჩნდა სსრ კავშირის სახალხო არტისტის დიმიტრი ალექსიძის სახელი. ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა ამ თეატრის სცენაზე დადგა სპექტაკლი უკრაინელი დრამატურგის ალექსი კოლომიეცის პიესის „რუსინის ქვის" მიხედვით, რომელიც დნეპრისპირა ქალაქის 1500 წლის თავს მიეძღვნა. 22 მაისს გამართულმა პრემიერამ მაყურებელთა აღფრთოვანებული გამოხმაურება გამოიწვია. მათ მაღალი შეფასება მისცეს მსახიობების თამაშსაც და რეჟისორის ოსტატობასაც.

პიესას საფუძვლად დაედო ლეგენდა კიის, შჩეკის, ხორივისა და მათი დის ლიბედის შესახებ, რომლებმაც ქალაქი კიევი დააარსეს და უფროსი ძმის სახელი უწოდეს. დრამატურგმა გამოიყენა ისტორიული წყაროები და ხალხური თქმულებანი, რათა პოეტური ფორმით მოეთხრო V საუკუნეში სლავური ტომების ცხოვრებაზე, მათ ბრძოლაზე მომთაბარეებთან, რომლებიც ანადგურებდნენ და ძარცვავდნენ მათ სახლებს, ოცნებაზე შექმნათ ქალაქი ...

გადაწყვეტაში დამეხმარა დიდი რუსი კრიტიკოსის ბ. გ. ბელინსკის სიტყვები: „უნდა გავიხსენოთ ჩვენი სამშობლოს ძველი ისტორია, რათა უკეთ შევიცნოთ ჩვენი თავი დღეს და განვჭვრიტოთ მომავალი". ამიტომ სპექტაკლი დადგმულია როგორც ფიქრები წინაპრებზე, მათ ზნეობრივ და სულიერ ძალაზე. ჩვენ უარი ვთქვით არქაიკაზე, ყოფითობაზე, სტილიზაციაზე, რადგან გვსურდა შეგვექმნა ამაღლებული ეპიკური ნაწარმოები ათას წელზე მეტი ხნის წინათ მცხოვრებ ადამიანებზე. ეს ჩანაფიქრი განხორციელდა ზურაბ ნიჟარაძის მიერ შექმნილი სცენოგრაფიითაც და უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ ევგენი სტანკოვიჩის მუსი...

მთელი ათი წლით დაუკავშირა თავისი შემოქმედებითი ბედი უკრაინის სცენის ოსტატებს და, კერძოდ, კიევის ი. ფრანკოს სახელობის თეატრს. პირველმავე სპექტაკლმა — გ. მდივნის „ტერეზას დაბადების დღემ" მას დამსახურებული წარმატება მოუტანა, ხოლო მეორე — სოფოკლეს „ანტიგონე" რეჟისორის ნამდვილი ტრიუმფი გახდა. მსახიობები და მაყურებლები მოხიბლა მისი მხა... ტვრული აზროვნების თავისებურებამ, ღრმად გამოვლენისადმი გმირთა სულიერი სამყაროს მისწრაფებამ, ნაწარმოების პოეტურ-ჰეროიკული სულისკვეთების ლაკონიურად გადმოცემის უნარმა. ნიჭიერი ოსტატის ამ თვისებათა შემდგომი გამოხატულება გახდა ...

... ქმედებითი კრედო: „მე თეატრში გმირული, რომანტიკული ხაზის მომხრე ვარ ... ყველაზე სრულად გამოხატავს ჩვენი ... "

დ. ალექსიძის პოზიცია განსაკუთრებით დამაჯერებლად გამოვლინდა სპექტაკლში „ხსოვნა გულისა", ა. კორნეიჩუკის პიესის მიხედვით. ამ სპექტაკლში რეჟისორის მაღალი პათოსი და ხატოვანი აზროვნება კარგად შეერწყა ემოციურ განწყობილებას, ტემპერამენტიან სიტყვას, რაც ასე დამახასიათებელია ფრანკოველთა სამსახიობო სკოლისათვის. კიევის გაზეთების რეცენზენტებმა პრემიერის წარმატების შემდეგ დიმიტრი ალექსიძე ცნობილ უკრაინელ კინორეჟისორს ალექსანდრე დოვჟენკოს შეადარეს. რეჟისორის ნამუშევარი მაშინ უკრაინის სსრ ტ. გ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.

„რუსინის ქვა" — უკრაინელ მსახიობებთან ოსტატის ნაყოფიერი შემოქმედებითი თანამშრომლობის ახალი ფურცელია. დიმიტრი ალექსიძემ, თქვა ი. ფრანკოს სახელობის თეატრის მთავარმა რეჟისორმა, უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა სერგი დანჩენკომ, ...

რეპორტაჟი

გაზაფხულისა და შრომის ზეიმი ცაგერში

მომღერალი — მსმენელებთან

მწვანე სამოსელი თბილისს

ჭადრაკი

ზაგრები. I საერთაშორისო

ჭადრაკის დაფებთან

საჭირო და სასარგებლო ცნობარი

კომუნისტი